



საქართველო შრომის

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 25

სურსათის საკითხი



ო. ი. ულიამბ

ჯაბარი. (ტირაღით) არ ვიცი, ღმერთმანი, თფილისის აქ გადმოტანა აჯობებს, თუ ამ სანო-
ვაგედა თფილისში.

შოთა რუსთაველი

(გაგრძელება)

— სალამი შენდა!— მომხიბლავი ხმით წარ-
მოსთქვა შოთამ და თვალები მომაპყრო.

სიმი დღის მზადებამ ფუჭათ ჩამიარა, სიტყვა
ყელში გამეხარა და ისე მივჩერებოდი ძვირფას
სტუმარს, როგორც მორწმუნე ადამიანი სასწაულე-
ბრივ ჩვენებს მიჩერდება.

შოთა 30 წლის ახლავან ვაჟკაცათ მომეველინა,
ღია წაბლის ფერი თმა და წვერ-ულვაში ჰქონდა
და სრულიად არა ჰგავდა იმ სურათს, დღეს რომ
შოთას სურათად გვაქვს მიღებული. მე გარინდებით
ვიდექი ერთ ადგილას და თვალი ვერ მომეშორე-
ბინა მის თვალთათვის, რომელთა მსგავსი ჩემ დღე-
ში არსად მენახა. ამ თვალების პატრონს სხვა რა
უნდა დაეწერა თუ არ „ვერხის ტყაოსანი“? უზენ-
ნაესი ნიჭი, სიბრძნე, სინაზე და მასთან ვაჟკაცური
სიმახაცე გამოსკვივოდა მუქ თაფლის ფერ დიდრონ
თვალეში და მათი შინაგანი შუქი უხილავ აბრე-
შუმის ტალღებათ ეფინებოდა და ათბობდა ჩემ
გულსა და მთელ ჩემ არსებას.

უეცრათ ისეთი სიხარული ვიგრძენი, ანუ
უკეთ რომ ვსთქვა, მთეომა ჩემმა არსებამ, ყველა
ნაკვთმა და ძარღვმა ჩემი სხეულისა ისეთი სიხარუ-
ლი იგრძნო იმ თვალების შუქისაგან, რომ ჩემდა
უნებურათ, სიცილი დავიწყე. ვიცინოდი უადრესი
სიამის სიცილით, ნელა და ხანგრძლივ, სწორეთ
ისე, როგორც ძილში ბავშვი გაიცინებს, შორს
მყოფი დედა რომ მიუვა და გულში ჩაიკრავს სიხ-
მარში.

შოთა ალბათ მიხვდა ჩემს მღვთმარეობას, თა-
ვადაც ღიმილი ვერ შეიკავა და „ვარდი გაჰხლიჩა,
ბაგეთგან კბილნი თეთრნი გამოსკვირდეს“.

— აჰა, შენთანა ვარ!— მითხრა მან და კიდევ
უფრო უხვათ მომაფინა გრძნეული შუქი თავის
თვალებისა.

— ჰო, ჩემთანა ხარ,— ალტაცებით წარმოვ-
სთქვი მე:— იყავ ესრედ, რათა თვალთა ჩემთა აღარ
განეშოროს ნათელი სახისა შენისა, რამეთუ „გულ-
სა აგრე საიმედო ია მორგე, ვარდი ჰყარე“!

დიდებული სტუმრის მუნყოფამ აავსო ჩემი
ოთახი და აუშფოთებელი მყუდროება დაამყარა,
უსახლდროთ საამური და მშვიდი. გაჰქრა შიში და

მღელვარება ჩემ გულში, ახლა მხოლოდ თაყვანის-
ცემისა და ალტაცებას განვიცდიდი და თავს ისე
ვგრძნობდი, როგორც უმწეო წიწილა დედის ფრთებ-
ქვეშ...

შოთამ მომაშორა თვალი, დაჯდა სკამზე და
თავი მაგიდაზე დაყრდნობილ ხელს ჩამოადო. მე
თვალი ვერ მომეწყვიტა მის სახისათვის. ღიმილი
გაუქრა, წარბები აეწია შესაყართან, ფერი გაუკრთა
და უეცრად გამუქებულ თვალეში და მთელ სახეზე
ტანჯვის მეტყველება აღებეჭდა.

დიღხანს იჯდა ვგრე, უძრავათ, თვალები სივრ-
ცეს მისჩერებოდენ დაჟინებით, მკერდი უღელავდა
და ხშირი სულთქმა და ოხვრა აღმოხდებოდა გუ-
ლიდან.

სულ განაბული ვუცქეროდი და ვგრძნობდი,
რომ ამ წუთში იგი თავის გვირგვინოსან მიჯნურ-
ზე, თამარზე, ფიქრობდა და მისი სიშორით იტან-
ჯებოდა.

ეს ტანჯვა ისე დიადი იყო, რომ ჩემი უსუს-
ური სიტყვა ნუგეშის მაგიერ შეურაცყოფას მია-
ყენებდა მას, ხმა რომ ამოეღო. თითონ შოთა შე-
ეხო ღუმლის თავისი გრძნეული ხმით და ერთი
მწარე ამოოხვრის შემდეგ ნელა წარმოსთქვა:

— რაისათვის მიხმე?... მე აქა ვზი, შენთანა,
და „ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყა-
ლი“ უჩემოთ გამოაკრთობს ელვასა...

ეს რომ სთქვა, მე ნათლად დავინახე მის თვა-
ლებში თამარის მშვენიერების ანარეკლი და მივხვ-
დი, რომ შოთას დიდი ნიჭი იყო ნიჭი სიყვარუ-
ლისა; ჩემთვის გაუგებარ გრძნობით ვიგრძენი, რომ
თუ თამარისადმი სიყვარული არ ჩანერგოდა შო-
თას, „ვეფხის ტყაოსანი“ არ დაიწერებოდა...

ვერაფერი ვუპასუხე: მართლაც-და, რა სა-
საცილო და უმნიშვნელო იყო ჩემ მიერ შოთას
გამოხმობის მიხეზი იმ ღვთაებრივ ტანჯვასთან,
რომელსაც შოთა განიცდიდა თამართან დაშო-
რებით!

კვლავ ღუმლი დამკვიდრდა და შოთა კვლავ
დაუბრუნდა ურვასა და ვიშს. დრო გამოშვებით
ბაგეს გააპობდა და გულის სიღრმიდან, ოხვრასთან
ერთად აღმოხდებოდა ნელი, მაგრამ ძლიერი ამო-
ძახილი:

— თამარ! თამარ!

განცვიფრებული ვუკუარბედი ამ „შორით ბნე-
დას, შორით კდომას, შორით დავვას, შორით
აღვას“ და ვფიქრობდი: „ნეტავი თუ მოიძებნება



მთელ სამყაროში ისეთი ძალა, რომ ამის გულში ეს საარაკო მიჯნურობის გრძნობა აღმოფხვრას? რვა საუკუნემ გაიარა მას აქეთ, რაც პირველათ ჩაესახა გულში თამარის სიყვარული და ვერც სიკვდილმა, ვერც საიქიომ, ვერც ხელმეორეთ სააქაოს მოსვლამ ვერ შესძრა ეს ურყევი გრძნობა...

რომ გამოვერკვიე, „სალამოს“ დაწყებამდე ნახევარი საათი-ლა რჩებოდა. შოთა ისევ იმ მდგომარეობაში იყო და „სულთქმა-უმს აშრავლებდა“. დრო მიდიოდა, ვხედავდი, რომ ვიგვიანებდით, მაგრამ სიტყვის დაძვრას ვერ ვუბედავდი. უცებ წამოვდა, თითქო რაღაცამ მძლავრათ მიიჩინაო, თვალები ზევით აღაპყრო და ერთ წერტილს მიაჩერდა. სახის მეტყველება შეეცვალა: კქუნვა და ტანჯვა გაუქრა და სიხარული აღებეჭდა. შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა და ხელაპყრობით წამოიძახა:

- თამარ, თამარ! გხედავ!
- ესა სთქვა და ჩემკენ მოტრიალდა. სახე-ღამ-შვილებული მიცქეროდა და მეც გავბედე დალაპარაკება:
- მოიწინა ჟამი წასვლისა, — ვუთხარი მე.
- აჰა, მზა ვარ, წავიდეთ — მიპასუხა შოთამ და გამომყვა.

გზაში ორივენი ჩუმით მივდიოდით: მე ვერ ვხედავდი დალაპარაკებას, ის კი თავის ოცნებას დაეპყრო და ყურადღებასაც არაფერს აქცევდა, თითქოს ის ძველი თბილისი დახვედროდეს, რაც მან დასტოვა ამ რვა საუკუნის წინათ, თითქოს მაშინაც ეს უზარმაზარი სახლები, ელექტრონის განათება, ტრამვაი და ავტომობილები აგრევე ყოფილიყოს.

მე სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ დამეხწია თავი ცნობის მოყვარე ხალხისაგან, როცა თეატრში შევიდოდით. ჩემი სტუმარი ისე გამოირჩეოდა ყველაში, ისეთი უცხო სანახავე იყო, რომ უეჭველათ საერთო ყურადღებას მიიქცევდა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ოსმალეთიდან გადმოხვეწილ მაჰმადიან ქართველათ გამეცნო ყველა-სათვის და დავმშვიდდი.

ის იყო არტისტიულ საზოგადოების შენობასთან მივედით კიდევ, რომ კარებთან ოცდაათამდე კაცის კრება შევამჩნიე. მთელი ეს კრება ჩვენკენ იცქირებოდა და დაგვიჩაბეს თუ არა, რა-ღაც საექვო ჩოჩქოლი შექმნეს.

— მოდის... მოვიდა... შოთა... შოთა! —

გაისმა აქა-იქ ძახილი, როდესაც კარებს მივუახლოვდით.

მე გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი რომ შოთას გარს შემოერტყენ, ჩასვეს წინასწარ დამზადებულ ავტომობილში, თითონაც ავტომობილებში ჩასხდენ და გააქროლეს.

ჩემ ბედზე ერთი ავტომობილი კიდევ იდგა ცარიელი, ელვის სისწრაფით გაჩნდი შიგ და გაქცეულებს დავედევნე. შოთას ავტომობილში თვალი მოვკარი გიგოს, რომელიც ფეხზე იდგა ქუდ მოხდილი და ხვლებს აქნევდა. მაშინვე მივხვდი, ვისი ბრალიც იყო ეს ზღაპრული მოტაცება...

თავუნა.

(შემდეგი იქნება).



„ჭიპი“ თუ „გასალები“.

(ომის მიმოსილვას)

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ბრძოლის გაჩაღებამ ჩვენი სამხედრო ავტორიტეტებიც საგონებელში ჩააგდო. საერთოდ დედა-აზრი ჩვენი მოხილვებისა თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ გარეგნული სახიერება მათი ფრიალ განსხვავებული და თავისებური.

გაზეთ „საქართველოს“ 110 ნომერში მოთავსებულია დიდათ მნიშვნელოვანი წერილი ბ-ნი მეგრისა: „უხლილი ძალები“. აღნიშნულ წერილში ბ-ნი მეგრი ეხება ბალკანეთზე გაჩაღებულ ომის ცეცხლსა და სხვათა შორის შენიშნავს:

„ბაღკანეთი გადაიქცა უურადღების ცენტრად. მრავალ ათას ვერსზე გაშლილ ბრძოლის ფრანტს ჭიპი ესლა გამოება“.

ამავე საგნის შესახებ, არა ნაკლებ ცნობილი სამხედრო ავტორიტეტი „სახალხო ფურცლისა“ ი. გევალი ბრძანებს.

„ბაღკანეთი ეს გასალებია ჯერ სტამბოლისა და შემდეგ შარეული აღმოსავლეთისა*“.

* ეს ამონაწერი შეიძლება მცირედ განსხვავებულად ორიგინალისაგან, მაგრამ სიტყვა „გასალები“ სისწორით არის მოყვანილი.

ამგვართ იბადება საკითხი: რა არის მართლაც ეს ბალკანეთი? თუ იგი მართლა „ჭიპია“, მას უნდა შეეხედოთ, როგორც ჭიპს და ამ თვალსაზრისით ვიმოქმედოთ. ხოლო თუ იგი სრულიადაც არ ჩამოჰგავს ჭიპს, არამედ წარმოადგენს „გასაღებს“ ჯერ მახლობელი და შემდეგ უფრო შორეული აღმოსავლეთისას, მაშინ რაღა ლაპარაკი უნდა ჩვენც ისე უნდა შეეხედოთ მას, როგორც გასაღებს.

რაიცა შეეხება „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას, აქაც იგივე მომაკვდინებელი აზრთა სხვა და სხვაობა სუფევს ამ საგნის შესახებ: ბ-ნი თავუნა თავგამოდებით იცავს „გასაღების“ უპირატესობას, ხოლო ეშმაკი ვერ შერიგებია იმ აზრს, თუ როგორ შეიძლება ბალკანეთს „ჭიპი“ არ ვუწოდოთ.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ უყურებენ ამ საკითხს ჩვენი მეზობელი ეროვნებანი. ცხადია მათშიაც ამგვარივე „შეხლილი აზრები“ იქნება და ომის გათავებამდე არც მოხერხდება მისი საბოლოო გამორკვევა.

მორიელი



მესტვირული.

(ბათუმისათვის)

აჰა, ელია — მელია,
შაირა არ დამელია.

„ეშმაკი“ გადამეკიდა,
ის დიდი ბელზებელია,

რადგანაც სტვირი ამდენ ხანს
დამირჩა დაუკვრელია.

მეუფე ჯოჯობეთისა
ყველაფრის შემძლებელია
და, ვაი, ეგებ, წყეულობა,
ვითარცა მოსეს გველია,
კულზედა ხელი წამატა...
დამიჭერს უეჭველია...
შემდეგ ხომ თავის გამოხსნა
იმისგან მეტად ძნელია...
სხვა გზა არა მაქვს, — ისევე
სტვირს წამოვავლე ხელია,
გულა მოვმართე, ჩავბერე,
არ იბერება, ხმელია,
ამდენი უკუგდებითა
ამონოტვია ყელია.
დავბოხე, წელი ჩაუწყე,
მოვმართე სტვირი ძველია.
ჩავატკბილ, ჩავადუღუნე —
— ბულბული მგალობელია.
დღეს მოველ მე ამ ქალაქში
ბათუმის გარეთელია,
თუ, ოდეს უკუ ვიქცევი,
ზურგი წავიღე მთელია.

დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
დაუკარ: „დული, დულიო“!!
(არ ვარცა კაცი ეშმაკი,
და ფულით მოყიდულიო)
მოველ და ვნახე ბათუმი
აღვის ხით შემორგულიო,
ზღვის პირას გადაჭიმულა,
ვითარცა ხელის გულიო.
იშლება თვალის წარმტაცად
ვაკეზე დადებულიო,
სად წალკოტს ტურფად შეამკობს
ვარდის ხე და ბულბულიო,
ამწვანებულა ბულვარდი,
ხავერდით დაგებულიო,
ბანოვანთ სახვანცარიკოთ
კარები გაღებულიო.

ახლა ურთ-ერთის „კრედიტში“
ერთი გოდორი ფულიო,
ნაბამბა-აბრეშუმალი,
კუხიდან მოზიდულიო.
უჩიტლის არჩევანები,
წრფელი სული და გულიო

(ამბობენ ზოგ-ზოგს ნარბენი,
 სტიკიაო ფეხის გულიო).
 ბათუმში კაცი არ არის,
 (ერთმა სთქვა), ვარგებულო.

დაუკარ კიდევ ქამანჩავ;
 ბათუმი შემეყვარდაო
 თუ არ ამკიდეს ბარხანა,
 (ზოგმა ეს უკვე სცადაო)
 ვაჭრებს გახსნათ მოგების
 უზომო, დიდი მადაო...
 ის ახალს ველარ ჩაიცივამს
 ვინც ძველი გაიხადაო.
 ინტელიგენტებს, რომ სძებნო,
 ვერ ნახავ შენ ვერსადაო,
 ერთსა ეტრფიან ადგილსა,—
 წოდებულს „ბრეხალკადაო“...
 სამხანავო ღუქანზე
 ეს იაქმის ანდაზადაო:
 „გოლვიან წელიწადშიო,
 პური არ ღირდა მკადაო“.
 შკოლები შემოვიარე
 აქა იქ, ქალაქ ვარდაო,
 მარა იმათზე არ ვიტყვი
 არარას ამ ჟამადაო,
 ბოლო დროს მინდა ავხადაო
 მე მატყუარას ფარდაო
 და თუ არ მოგვედი, დღეის წორს
 ეს მცირე მითქვამს ვადაო
 მველაფერს გეტყვი, თუნდაც რომ
 დამიჯდეს ძვირფასადაო.
 აწ მესტირულსაც ვათავებ,
 არც კი ღირს მეტი თქმადაო
 დღეს მოვათავე რაც მსურდა,
 მეტის თქა არც კი მწადლაო!
 სიკეთეთ ესეც მეყოფა
 თუ რომ ეს არ წამწარდაო.
 ხოლო აქ თუ რამ მეცრუოს,
 (სულ სხვაა თუ დამზარდაო)
 მე თქვენი მოუნადღოელი,
 უფალმა არ არ გამზარდაო...

ა. ბლიკვაძე.



მისაზადი მაგალითი.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციას წარედგინა
 შემდეგი შინაარსის წერილი:

„სული ჩემი ირინე დანიშნულია სამუელ
 ბეკოს ძე ლომიძეზედ და მათ შორის ჯგრის
 წყა მახდება მომავალ წითუბისთვის 9 რიცხვე-
 ბის შემდეგ.“

ჩვეულებრივი მეჯლისის გამართვა დღევანდელ
 პირობებში მხეცებლათ და სწავანადღათ დაუნახეთ,
 ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც ჩვენს
 გულშემატკვარს და თუ შემწობას ინებებთ, ესრე-
 თი შემწეობა მოგვაწოდოთ ხუთმეტ მწითუ-
 ბისთვისმდე ჩვენ და თუ ამას არ ინებებთ გადასცემთ
 მექვისე ჭეუნასს ჭეუმათის ბაზარში, საკუთარ
 ღუქანზე, რისთვისაც დავშთებთ ძლიერ მადლო-
 ბედნი.

მამა ირინესი სიკო და ძმაი მისივე
 კორფილე ჭყუნები“.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ ერთხმად და-
 აღვინა:

ა) მადლობა გამოცხადოს აღნიშნულ სიკო
 და კორფილე ჭყუნებს ქორწილზე უთავბოლო
 ხარჯის მოსპობისთვის.

ბ) მოისპოს ღღეიდან ჟურნალის „ეშმაკის
 მათრახის“ გამოცემა და ამიტომ ეთხოვოს მის მკი-
 თხველებს ფული, მთელი წლის ხვედრი (შეიძლება
 მეტიც) გამოიგზავნოს ამა ოქტომბრის დამლევაამდე
 პირდაპირ ჩემს, ან უკიდურეს შემთხვევაში ოლღას
 ქუჩაზე ა. ბუკიას კანტორაში (რასაკვირველია ჩემ-
 და გადმოსაცემათ) რისთვისაც დავშთები დიდათ
 მადლობელი.

ეშმაკი.

P. S. ვსთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ
 ეს განცხადება.

—კი.



„აი მოკეთე?!“

(აჯიკაბუჯისათვის)

„თუ თელათ არ გაგიტეხავს შუბლის ძვალი, თუ თელათ არ აგიღია ნათელ-მირონზე ხელი, თუ ნეკის ოღნა პატივს კი სცემ შენს ნათლის დედას მაინც, რომელმაც ლამის დამახრჩოს რადგან ჰგონია შენი უნათესაობის და გარეწარობის მიზეზი მე ვიყო და უკანასკნელად თუ შენი განათლული მაინც კი გიყვარს, დაუყოვნებლივ ჩამოდი აჯიკაბულში, ძლიერ საჭირო და საჩქარო საქმეზეო“ — მითვლიდა ჩემი ნათლის მამა მათე ტყლაპი-ჭამიაშვილი უკანასკნელი (ამ საგანზე რიგით მეხუთე) წერილით.

თუ მართლა „საჩქარო“ და საჭირო საქმე არ ჰქონდეს, აბა ასეთ წერილს როგორ მოიწერდა თქო, ვიფიქრე მე და მეორე დღეს თქვენი მორჩილი მონა ნათლი მამისას ხაჭაპურს ხაჭაპურზე ვამარცხებდი.

— როგორ უღალატო რჯულს და სარწმუნოებას, როგორ გადავადგე მირონს, თორემ ღვთის პირისგან შეჩვენებული ვიყო თუ სახლში შემოსაშვები იყო, მიპასუხა მათემ, როდესაც შევეკითხე: რა საქმეზე მიბარებდა ასე საჩქაროთ.

დალოცა ღმერთმა რომ ჩემი ნათლი დედის წინაშე მუდამ პირნათელი ვიყავი, თორემ ღმერთი რომ გამწყრომოდა და ცოდვილათ მგულგებოდა ჩემი თავი, მათეს ასეთ მრისხანე პასუხის შემდეგ, ვერც ნათლის დედა, რომელიც ჩემს და კარებს შუა ბარიკადივით იყო გაჩხერილი და ვერც სხვა ასეთი დაბრკოლება ვერ დამაკავებდა და ხსნა ჭაქცევაში უნდა შეძებნა.

— რა მოხდა მათე?! რაშია საქმე, შევეკითხე მე ცოტა ხნის ჩუმთ ყოფნის შემდეგ და რიგით მეექვსე ხაჭაპურის შესამუსრავათ გაწვდილი ხელი ფიცხლავ უკანვე წამოვიღე.

— როგორ თუ რა მოხდა?? დაიღრიალა მათემ და შემოაბრუნა სკამი: ნუ თუ მე ყველასთვის, და ჩემთვის კი არავენ?! ნუ თუ მე თეატრში არ დავდივარ, ვაზეთს არ ვღებულობ?! განა მე არ ვიყავი წარმოუდგენისთვის გაქათქათებული ჩოხა-ახალოხი რომ გათხოვეთ?! არა, რომელი ერთი უნდა ვთქვა, რომ არ ვიცი?!.. ნუ თუ ამას მოღვაწეობა არ ქვია?! და დიდი საქმე იქნებოდა ტყვილა უბრალო მადლობა მაინც ვეთქვათ?!..

— მერე ვინ გეუბნებ...
— სუუსსს... არ სთქვა... არ გამაგონო... თუმცა გვიან, მაგრამ ახლა კი გაგიცანი რა შვილებიც ბრძანებულხართ... ბარემ სთქვით უსირცხვილოთ... გაუწითლებლივ ზარ გვსურს საზოგადოება იცნობდეს შენს მოღვაწეობასთქო“ მორჩა და გათავდა.

— აბა მაგას რად...
— სუსსსს.. გამაწყვეტინა მათემ და ყურები თითებით დაიცო, არ სთქვა... არ გამაგონო თქვენი საქმე სიტყვები, სიტყვები და დაუსრფლებალი სიტყვებია... საქმიდან ღმერთმა დაგიფაროსთ!.. არა, რავა არ გავსკდები გულზე?.. იაშვილი კორძია, გაჩეჩილაძე და კამპანია საზოგადო მოღვაწეები და მე, არაფერი.. მატლი.. ქია!.. რით უნდა მჯობდენ მე ისინი?! დავიჯერო ისინი ჩემზე უკეთესი პურმარილის ბიჭებია?? ააა?? სთქვი შენ და შენი ღმერთი... სიმართლე სთქვი...

— აბა რა შედარებ...
— სსუუსსს... არ სთქვა...არ გამაგონო კვლავ, გამაწყვეტინა მათემ: თუ არ მჯობიან წადით და ჰკითხეთ საზოგადოებას... დღეს მათ თელი ქვეყანა იცნობს გესმით თელი ქვეყანა!.. არა... თუ მართლა და უმადურები არა ხართ, დიდი საქმე იქნებოდა ერთი ჩემი გვარიო ჩაგეგდოთ ვაზეთში?? რავა, თუ რამე მიშოვნია თქვენთან არ შემიტამია?! არა შენ და შენი ღმერთი სთქვი... ტყვილა ერთი სადილი თუ მიჭამია უთქვენოთ?!!

— მართალია მათე. მართალი! შენ დიდ სტუმართ მოყვარე კაცო ხარ, მაგრამ სამწუხაროთ ამ საგანზე ვაზეთში წერა ყოველათ მოუხერხებელია, რადგან როგორც იცი ვაზეთი მარტო საზოგადო საქმეს ემსახურება.

— მეც მაგას ვსტირი და მოვსთქვამ ჩემო კოტე.. რომ იაშვილების ჰურმარული საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობაა და ჩემი კი, ნიორწყალი, აკა მეც მაგას ვლაპარაკობ ჩემო კოტე, რომ, იმათ ერთი სადილით მოიხვეჭეს მოღვაწის სახელი და მე კი თუგინდა ყოველ დღე თითო ძროხა დავკლა, მაინც არაფერი მეშველება.

— როგორ, ერთი სადილით?! გავიოცე მე.
— ერთი სადილით მაშ?! შენ გგონია ყველა ჩემსავით უკუღმართ ვარსკვლავზეა დაბადებული?! ჩემთვის არ შეიქნა არავინ, თორემ თითო „მოკეთე“ კყველას ქე ყავს.
— კაცო, გამაგებინე რაშია საქმე? მე შენი



ვერა გამიგია!! რა სადილი... რა საზოგადო მო-
ღვაწეო... რას ლაპარაკობ?!!

— სადილი, დიახ სადილი... სწორეთ ერთი
გემრიელი სადილის გამო იყო, რომ იმ ღვთიან მად-
ლიანმა კაცმა მეორე დღესვე დაწყებული მასინძელ
სტუმრებიდან თვით საკუთარ მამიდამდე ყველა სა-
ზოგადო მოღვაწეებათ გამოაცხადა „თეატრ და
ცხოვრების“ 22 ნომერში, თორემ სად თქმულა?!
ვის უნახავს ან გაუგონია იაშვილ — გაჩეჩილაძეების
ღვინო-კარტ-ნარდის გარეშე მოღვაწეობა?!? და
ისიც სცენაზე!!

დაასრულა თუ არა მათემ, აკაკის მიერ „მო-
წონებული“ ოთხათ მოკეცილი და დაფლეთილი
ქურნალი გადმომიგდო, ზეზე წამოდგა, ქუდი და-
ხურა, ერთი მწარედ ამოიხენემა და უსიტყვოთ
გაიხურა კარი.

ჯოჯოხეთის მამათ მთავარო! თქვენმა უერთ-
გულესმა და მორჩილმა მონამ დღემდე არ ვიცოდი,
თუ კარტ-ნარდის თამაშიც საზოგადო მოღვაწეო-
ბათ იყო აღიარებული და თუ თქვენც იზიარებთ
ამ შეხედულობას უმორჩილესად გთხოვ მაცნობოთ
და შემდეგ ნომრისთვის წარმოგიდგენ ჩემ ნათლის
მამასთან ერთად იმ „მოღვაწეთა“ სახელს და გვარს
რომელთა მოღვაწეობა ამ სარბიელზე მართლაც
რომ ერთობ დიდია და რომელნიც ბ. მოკეთეს
თავის წერილში ნებისით თუ უებლივით მოუხსენე-
ბელი დარჩა.

კ. მწვანეყვავილელი.




ამბაკვი.

(ეუროპაგრაფი)

თავს რომ დაგვესხა „გებენით“ მტერი
(თუმცა პასუხი ჩვენც შესაფერი
გავეცით მარა ეს არ იკმარა
მცხოვრებთა აქვე დასარჩენათა)
ერთობ დასცალეს ფოთი ხელათა,

თვით-მართველობა, ხაზინა, სუდი,
(დადგა თუ არა ამინდი ცუდი)
ეფისკობოზი, მღვდლები, შკოლები
ყოველი მათი მისაყოლები
გადაიხიზნენ ქალაქის გარეთ
ვერც ერთის მოცდა ვერ მოვაგვარეთ
მრხელე მუშა პროლეტარები,
(როცა დაიხზო შრომის კარები
ფოთი უდაბნოს რა დაემსგავ'ა)
ბედის ძიების გაუდგენ გზასა
სრულ მოქალაქეთ იმავე დღესა
გავხთით მე, პავლე, ფოტინე, ბესა
ვევედრებოდით ღმერთს (და ბუნებას)
მცხოვრებთა ფოთში ჩამობრუნებას,
ვისგანც ველოდით ამაში შველას
ეფისკობოზმა აჯობა ყველას,
მარა მცხოვრებთა არ სჩანდა ლანდი
(მგონი ბაწრითაც ვერ მოიყვანდი)
ცხოვრება ჩვენი თქვენ დააფასე
რომ ერთი წელიც გავიდა ასე
(ვინ იცის კიდევ გაგრძელდებოდა
ხიზნათ შკოლებიც რომ არ ხლებოდა)
სამოსწავლო წლის რა დადგა ვადა,
სწავლა და აღზრდა ვისაც ეწადა
აღძრეს მზრუნველთან შეამდგომლობანი
აღსდგენ ქალაქის მამა და ძმანი,
ძლივსლა იშოვნეს შკოლების ნება
(ფოთის სიცოცხლაც ამით იწყება)
რაკი გაიღო შკოლის კარები
ჩამოცქრიალდენ ქალ-ვაჟთ ჯარები,
(ეს მომავალი თაობა სალი)
აახმაურეს ქუჩები, ბაღი...
დაკისკასობენ ბაღში, მდგელოზე,
იმედს მაძლევენ საქართველოზე.
თუ ჩემს იმედში მიზანი მორე
იმალვის უფრო სალი და სწორე,
აღბათ „მოღვაწის“ სურვილი დიდი.
(ქურნალ-გაზეთებს იმიტომ ვყიდი
წიგნებიც უნდა ორფასათ ვყიდი
ჩვენი კულტურა რომ გავადიდო)

ბუტუნა.





სეზონი იწყება! ქართველი არტისტები შეუდგენ მოშვებული წვერ-ულვაშების პარსვას.

მასწავლებლის ადგილის მოხოვნელება
თფილისის ქართულ გიმნაზიაში.




სკოლის დირექტორი. დიდის სიამოვნებით
მიგიღებთ, ბატონებო. თქვენი ნამსახურობა და
წლოვანობა ყოველსვე ექვს აქარწყლებს თქვენი
კეთილსაიმედობის შესახებ.



ომის მსხვერპლი.

— მაშ, დედილო, ნემეცურის სწავლა აღარ
დამჰირდება!

— არა, შვილო, მაგრამ სამაგიეროთ უნდა
ისწავლო: რუსული, სერბიული, ჩერნოგორიული,
ინგლისური, იტალიანური, ფლამანდიური, იაპონე-
რი, ინგლისური და სენეგალური.



საქართველო



„ტკბილი“ სიზმარი რუსეთის მოქალაქისა.

ექსპრომტი

(ვეფხისტყაოსნიდან)

(გულენი ჩიბათლებს)

ჩვენი „საუნჯის“ გამგენი
 შემოკრბენ, ჰქონდათ ცილობა:
 „დუქანს რომ პასკა მოჰპარეს
 თუ იყო იგი ზრდილობა?
 ან ამ კოწიამ რა გვიქნა,
 როს იყო დუქნის ყრილობა,
 არ გაგვივიდა, ჩვენ მასთან
 ხრიკი და ვაცვეთილობა.
 ჩვენ დაყენებულ პლატონას
 რას უგავს მოყვანილობა?
 არც სწავლით იცის ბევრი რამ,
 არცა აქვს გამოცდილობა!
 მსჯელობის შემდეგ დაასკვნეს
 ასეთი დადგენილობა:
 ასათ წადლეტა დაფასდეს
 ათასათ გამოქნილობა.
 (თუ კაცი თავად არ ვარგა
 ცუდია „დისა შვილობა“).

ჭაშნიკი.

ქართველი მსახიობი ან. ქიქოძე.

დ რ ა მ ა

ა. ჩეხოვას

— პაველ ვასილიევიჩი, ვილაც ქალი გეახლათ, თქვენ გკითხულობს, — მოახსენა ლუკამ ბატონს. — ერთი საათია გელოდებათ.

პაველ ვასილიევიჩმა ეს-ეს არის ისაუბრა. ქალის მოსვლა რომ გაიგო, დაიდრიჯა და ჩაილაპარაკა:

— ჯანდაბას მისი თავი! უთხარი, არა სცალიანთქო.

— ხუთჯერ იყო, ბატონო; ასე ამბობს, ძალიან მინდა მათი ნახვაო, ლამის ტირილიც დაიწყოს.

— მამ... რა გაეწყობა, შეუძელ კაბინეტში.

პაველ ვასილიევიჩმა ზღაპრით ჩაიცვა სერთუკი, ცალ-ხელში კალამი დაიჭირა, მეორეში — წიგნი და კაბინეტში გავიდა ისეთი სახით, თითქოს ერთი წუთის დაკარგვაც დიდი მსხვერპლი იყოსო მისთვის. კაბინეტში მას უცდიდა სათვალღიანი ქალი, ჩასუქებული, მსხვილი წითელი, პირმდიდარი სახისა. სტუმარი ქალი ფრიად საპატიო გარეგნობის იყო და ძალიან რიგიანათაც ეცვა. მასპინძელი რომ დაინახა, თვალები გადაჰკარგა, ხელები ისე გააკეთა, თითქოს ლოცვის აპირებსო და ვაჟკაცური მაღალი ხმით დაიწყო აღელვებით:

— თქვენ, რასაკვირველია, არ გეცნობებით, მე... მე თქვენ ხრუტკის ოჯახში გაგიცანით... მე — მურაშკინისა გახლავართ...

— ა-ა-ა... მამ... დაბრძანდით, ბატონო! რას გვიბრძანებთ?

ქალი დაჯდა.

— საქმე ის გახლავთ, რომ... მე... — განაგრძო სტუმარმა და კიდევ უფრო აღელდა. — მე თქვენ... არ გეცნობებით... მე — მურაშკინისა გახლავართ... საქმე ის გახლავთ, ბატონო, რომ მე თქვენს ნიქს დიდ თავყანსა ვცემ და მუდამ სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე თქვენს ნაწერებს... არ იფიქროთ, თითქო პირფერობით ვამბობდვ. — ღმერთმა დამიფაროს, — მე მხოლოდ იმას გიზღავთ, რისიც ღირსი ბრძანდები... მე ყოველთვის, ყოველთვის ვკითხულობ ხოლმე თქვენ თხზულებებს! — ცოტა არ იყოს, ავტორობა არც ჩემთვის გახლავთ უცხო რამ, ... ე. ი., რასაკვირველია... მე ვერ გა-

ვბედავ, მწერლის სახელი დავირქვა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩემი მონაგარი თაფლის წვეთიც ურევია სკაში, მე სამი საყმაწვილო მოთხრობა დავბეჭდე... თქვენ, რასაკვირველია, არ წაგვიკითხებათ... ძალიან ბევრსა ვთარგმნი და... განსვენებული ჩემი ძმა ყურნალ „საქმე“ ში თანამშრომლობდა.

— დიახ... ე-ე-ე... დიახ... მერე, რას გვიბრძანებთ?

— საქმე ის გახლავთ, რომ... (მურაშკინისამ თვალები დაუშვა და კიდევ უფრო გაწითლდა) მე ვიცნობ თქვენს ნიქსა და... თქვენს აზრებს, პაველ ვასილიევიჩი, და მე მინდა გავიგო თქვენი შეხედულება... ე. ი. მინდა რჩევა გთხოვოთ... უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე — pardon pour l'expression, დრამა წარმოგეშვი და ვიდრე ცენზურაში გავგზავნიდე, მინდა თქვენი აზრი გავიგო.

მურაშკინისამ მახეში გაბმული ჩიტის გამოძეტყველებით დაიწყო კაბაში რისხლაც ძებნა და ვებერთელა გაბერილი რვეული ამოათრია.

პაველ ვასილიჩს მხოლოდ საკუთარი ნაწერები უყვარდა, სხვის ნაწარმოებთა წაკითხვა ან მოსმენა კი ისე მოქმედობდა ზახე, თითქოს ზარბაზნის ლულას უმიზნებენ ცხვირპირშიო. რვეული რომ დაინახა, შეშინდა და სიჩქარით წარმოსთქვა:

— ბატონი ბრძანდებით... დასტოვეთ... უთუოდ წავიკითხავ.

მურაშკინისა წამოდგა.

— პაველ ვასილიევიჩი! — დაიწყო მან მიზნედილი ხმით და ხელები კვლავ სალოცავათ გააკეთა. განა არ ვიცი, თქვენ არა გცალიანთ, ყოველივე წამი ძვირფასია თქვენთვის, ვინ იცის, მწყველით კიდევ და მლანძღავთ გულში, მაგრამ... გვედრებით; ნება მიბოძეთ მე თითონ წავიკითხოთ ჩემი დრამა, გთხოვთ!

— ძალიან სასიამოვნოა, ბატონო ჩემო, .. მაგრამ მე... მე... არა მცალიან... მე... ახლავე უნდა წავიდე... საქმე მაქვს...

— პაველ ვასილიევიჩი! — დაიკვნესა სტუმარმა ქალმა და თვალები ცრემლებით აევსო. — მე მსხვერპლსა გთხოვთ, ბატონო! ვიცი უტიფრათ ვიქცევი, თავს გაბეზრებთ, მაგრამ გამოიჩინეთ მეტი სულგრძელობა! ხვალ ყაზანში უნდა წავიდე; და დღესვე მინდა გავიგო თქვენი აზრი. ნახევარით საათი მაჩუქეთ თქვენი ყურადღება... მხოლოდ ნახევარი საათით! გემუდარებთ!

პაველ ვასილიევიჩი სუსტი ხასიათის კაცი იყო



და უარის თქმა არ ეხერხებოდა. მას მოეჩვენა, რომ სტუმარი ქალი აქვითინებას და მის წინ დაჩოქებას აპირებდა, შერცხვა, დაიბნა და წაილულღუდა: — ინებეთ, ბატონო.. მე მოგისმენთ.. ნახევარი საათი შემიძლიან..

მურაშკინისამ სიხარულით შეჰყვირა, მოიხადა ქუდი, სკამზე მოიკალათა და კითხვას შეუდგა:

თავში მან გამოიყვანა სცენაზე მსახური და მოახლოე, რომელნიც მდიდრულათ მორთულ ოთახის დალაგებას შეუდგენ და დიდხანს ილაპარაკეს შესახებ იმისა, რომ ბატონის ქალმა, ანნა სერგეევამ, სოფელში სკოლა და საავათმყოფო ააგო. მსახური რომ გავიდა, მოახლოემ წარმოსთქვა მონოლოგი და გაარკვია, რომ სწავლა სინათლე ყოფილა, ხოლო უსწავლელობა—სიბნელე. შემდეგ მურაშკინამ დააბრუნა მსახური და ათქმევინა დიდი მონოლოგი თავის ბატონის, გენერლის, შესახებ: გენერალს თურმე ეჯავრება თავისი ქალის მიმართულება, უნდა, ვილაც მდიდარ კამერ-იუნკერს მიათხოვოს ის და ხალხის ერთად ერთ ხსნათ ხალხისვე უვიცობა და სიბნელე მიაჩნია. შემდეგ მოსამსახურეები გავლენ და სცენაზე შემოვა ანნა სერგეევანა, ბატონის ქალი, რომელიც ამცნობს მაყურებელთ, რომ მას მთელი ღამე არ უძინია, და სულ ღარიბ მასწავლებლის ვაჟზე, ვალენტინ ივანოვიჩზე, ფიქრობდა. ვალენტინ ივანოვიჩი თურმე უსასყიდლოთ ეხმარება თავის სნეულ მამას, შეუსწავლია ყველა მეცნიერება, მაგრამ არც სიყვარული სწამს, არც მეგობრობა, ცხოვრების მიზანი არა აქვს და სიკვდილი სწყურია, რის გამოც ანნა სერგეევანა ვალდებულია, უშველიოს და იხსნას ახალგაზდა კაცი.

ჰაველ ვასილიევიჩი ყურს უგდებდა და თავის ტახტზე ოცნებობდა. ბრაზ მორეული თვალით ახედდახედავდა ხოლმე მურაშკინისას, რომლის ვაჟაკური მაღალი ხმა ყურს უბუზებდა მას, ვერაფერი ვერ გავგო ქალის კითხვისა და ფიქრობდა:

„რამ მოგათრია, შე გასაწყვეტო... სწორეთ შენი სისულელის ყურის გდება მქირია, რაღა! შენ რომ ღრამა დაგიწერია მერე მე რა შუაში ვარ? ღმერთო ჩემო, რამსისქე რვეულია! როდის უნდა მოვრჩე ამ ტანჯვას!“.

ჰაველ ვასილიევიჩმა კედლისკენ გაიხედა და თავის ცოლის სურათს მოჰკრა თვალი. ამ სურათმა მოაგონა, რომ ცოლმა დააბარა ნ არშინი გრეხი-

ლი, ერთი გირვანქა ყველი და კბილის საფერავი ფხვიერი მიყიდე და მომიტანე აგარაკზეო.

„იმ გრეხილის ნიმუში არ კი დამკარგოდეს, — ფიქრობდა ჰაველ ვასილიევიჩი. — ნეტა სად ჩავიდე? მგონი ლურჯ პიჯაკში მაქვს... დახე ამ უნამუსო ბუზებსა! როდის მოასწრეს ჩემი ცოლის სურათზე ამდენი წერტილების გახწვრივება! ოლღას უნდა უბრძანო, შუშა გარეცხოს... მეთორმეტე გამოსვლას კითხულობს, ალბათ პირველ მოქმედებას მალე მორჩება. ნუთუ შესაძლებელია, რომ ასეთ სიციხეში და ისიც ამ ზენის ტოლა დედაკაცს ზეშთავონება ეწვიოს? დრამების წერას ის არ გირჩევნია ცივი „აკროშკა“ სქამო და გრილ სარდაფში არ ხეინათ იძინო!...“

— თქვენ რა აზრისა ხართ: ეს მონოლოგი ცოტა არ იყოს გაქიანურებულია, არა?—ჰკითხა მოულოდნელათ მურაშკინისამ.

ჰაველ ვასილიჩს არც კი გაუგონია მონოლოგი. ისე შერცხვა, თითქო ეს მონოლოგი, თითონ მას დაეწეროს და დამნაშავის კილოთი წარმოსთქვა:

— არა, ბატონო, რას ბრძანებთ! პირიქით... ჩინებულია!...

მურაშკინისას ბედნიერებისაგან სახე გაუბრწყინდა და განაგრძო კითხვა:

— ანნა. — თქვენ ანალიზს გაუტაცინხართ. თქვენ მეტათ ადრე შევიწყვეტიათ გულის მიხედვით ცხოვრება და ადრე მინდობიხართ ტვინს. — ვალენტინი.—რა არის გული? ანატომიური ცნებაა, მეტი არაფერი. როგორც ტერმინი იმისი, რასაც გრძნობებს ეძახიან, მე იგი არა მწამს.—ანნა (დარცხვენით)—სიყვარული? ნუ თუ სიყვარულიც იდეათა ასოციაციის პროდუქტია. მითხარით გულახდილათ: თქვენ გყვარებით როდისმე?—ვალენტინი, (მწარეთ)—დე, ნუ შევეხებით ძველსა, მაგრამ ჯერ კიდევ მოუშუშებელ წყლულებს (პაუზა). რას ჩაუფიქრდით?—ანნა.—მე მგონია, რომ თქვენ უბედური ხართ.

მეთექვსმეტე გამოსვლის დროს ჰაველ ვასილიჩმა დაამთქნარა და უცაბელათ პირი ისე დააკლაპუნა, ძაღლებს რომ მოსდის ხოლმე ბუზის დაქერისას. ასეთი უწესო ხმა რომ გამოსცა, შეშინდა და ჩასაფურჩეხებლათ საამური ყურადღების გამომეტყველება გამოხატა თავის სახეზე.

„მეჩვიდმეტე გამოსვლა... როდისღა უნდა გაათავოს? — ფიქრობდა ის — ვაი ჩემს უბედურებას! კიდევ ათ წუთს რომ გაგრძელდეს ეს წამება, ყვი-

რილს მოვრთავ, ჩემმა მზემ... აუტანელია სწორეთ!"

მაგრამ აი, როგორც იქნა, ქალმა კითხვას მოუჩქარა, ხმა აუწია და ბოლოს წარმოსთქვა: „ფარდა“.

პაველ ვასილიჩმა თავისუფლათ მოითქვა სული და ის იყო უნდა ამდგარიყო, რომ მურაშკინისამ სასწრაფოთ გადაშალა ფურცელი და განაგრძო კითხვა.

— მოქმედება მეორე. სცენა წარმოადგენს სოფლის ქუჩას. მარჯვნივ სკოლაა, მარცხნივ საავადმყოფო. საავადმყოფოს კიბეზე გლეხი კაცები და დედაკაცები სხედან.

— უკაცრავათ... — გააწყვეტინა პაველ ვასილიჩმა. — სულ რამდენი მოქმედებაა?

— ხუთი, — უპასუხა მურაშკინისამ და, თითქოს ეშინია, მსმენელი არ გამეჩქესო, მაშინვე სხაპა სხუბით განაგრძო: — სკოლის ფანჯარაში ვალენტინი იცქირება. სცენის სიღრმეში მოსჩანან სოფლელები, რომელთაც თავისი ავლადიდება ღუქანში მიაქვთ დასაგირავებლათ.

პაველ ვასილიჩი ეხლა იმედ გადაწყვეტილ სიკვდილ მისჯილს დაემსგავსა. დასასრულზე — ოცნებაც მეტი იყო, იმედი აღარაფრისა ჰქონდა, იმას და ცდილობდა მხოლოდ, რომ თვალები არ დახუჭოდა და სახეზე ყურადღების გამომეტყველება არ მოშორებოდა.

— ტრუ-ტუ-ტუ-ტუ... — ესმოდა ყურში მურაშკინის ხმა: ტრუ-ტუ-ტუ... ქქქქ...

„სოდის დაღვევა დამავიწყდა — ფიქრობდა პაველ ვასილიჩი. ჰო, რას ვფიქრობდი?.. სოდის დაღვევა მეთქი... ალბათ კუქის კატარი მაქვს... საოცარია: სმირნოვსკი დილიდამ საღამომდე არაყსა ხეთქამს და ჯერაც არ აქვს კატარი... ფანჯარაზე რაღაც ჩიტი შემოჯდა... ბელურა ყოფილა...“

პაველ ვასილიჩიჩმა თავს ძალა დაატანა, რომ თვალები არ დახუჭოდა, პირდაუღებლათ დაამთქნარა და მურაშკინისას შეხედა. ქალი რაღაც ნაირათ დაიბურა, ქანაობა დაიწყო, სამი თავი გამოება და ისე გაიზარდა, რომ ჰერს მიექლო.

— ვალენტინი — არა, მომეცით ნება, აქედან წავიდე შორს...

ანნა (შეშინებული) რათა? — ვალენტინი (იქით) გაფითრდა! (მას) ნუ მათქმევინებთ რათა, მოგვკვდები და ამის მიზეზს კი თქვენ ვერ გაიგებთ. — ანნა (პაუზის შემდეგ). — თქვენ ვერ წახვალთ...

მურაშკინა გასივდა, ვეებერთელა ვახდა და ოთახის ჰაერში გაიღვსა. მისი მოძრავი პირი და ჩნდა მხოლოდ. შემდეგ უცებ დაპატარავდა, ბოთლის ოდენათ გადაიქცა, დაბარბაცდა და ოთახის სიღრმეში წავიდა...

ვალენტინი (ანნას გულში ჩაიკრავს) — შენ მკვდრეთით აღმადგინე მე, შენ მიჩვენე მიზანი ცხოვრებისა! განმახლე, როგორც გაზაფხულის წვიმა განახლებს ახალ გაღვიძებულ დედამიწას! მაგრამ... გვიან-ლაა გვიან! ჩემს გულს უკურნებელი სენი ღრღნის...

პაველ ვასილიჩი შეკრთა და არეული მღვრიე თვალებით მიაშტერდა მურაშკინისას. ერთ წამს უცქეროდა, თითქოს არასფერი ესმისო...

— გამოსვლა მეთორმეტე. იგინივე, ბარონი და ბოქაული ნაცვლებითურთ... ვალენტინი — ჰა, წამიყვანეთი ანნა — მე მაგას ვეკუთვნი! მეც წამიყვანეთ! დიახ წამიყვანეთ მეცა! მე მიყვარს ევა, სიცოცხლეზე უფრო მიყვარს! — ბარონი — ანნა სერგეევნა, თქვენ გავიწყდებათ, რომ მაგ საქციელით მამა თქვენს ღუპავთ...

მურაშკინა კიდევ ვაიბერა... პაველ ვასილიჩიჩმა ნადირივით მიმოიხედა ირგვლივ, წამოიწია სკამზე, მკერდიდან ამონახეთქი ხმით დაიყვირა საზარლათ, სტაცა ხელი მძიმე პრესპაპიეს და რაც კი მოეჩნეოდა, მურაშკინისას დაჰკრა თავში...

— შემიპყართ, მე მოვკალი ევა! უთხრა მან ხმაურობაზე შემოვარდნილ მოსამსახურეებს.

ნათციმა ვექილებმა გაამართლეს პაველ ვასილიჩიჩი.

შ ა რ ა ლ ა

მონახავთ სიტყვას, რომელიც ნაცოფის წარმომშობია, სულიერიც სცნობს უსულოც ყოველ მეგობარს, სჯობია. ადამს არ ყვავდა, ევას კი (თუმცა სხვაგვარი წესია)

ამ სიტყვის პირველ ნახევარს თქვენ შემინახავთ წყნარათა, მეკი გამიშობთ სხვა სიტყვის მოსაძებნ-მოსახმარათა,



რასაც პირველათ ითხოვენ
 ქვეყნიდან პროლეტარები,
 პირველ ლოცვაშიც უფალთან
 მოსათხოვენ-გასატარები.
 პირველ ნახევარს აქედანც
 მოვიხმართ უწინდულათა,
 რითაც შარადის ნახევარს
 წერტილს დაუსვამთ სრულათა.

შემდეგ იფიქრეთ სახელი,
 ხუცების სათაყვანები,
 სახორციელო საყვლეფათ
 სასულიერო მამები
 მის დასაპყრობათ ხანდისხან
 იარაღითაც მიდიან
 ხან ყიდულობენ ქრთამებით,
 ხანაც, პირიქით, ყიდიან.
 ამ სიტყვის ასო პირველი
 შარადისათვის მეტია,
 გათავდა, ახსნით თუ არა
 მეკი აქ შემიწყვეტია.

დასავლეთ საქართველოში
 მისთვის მზადებაც დიღია
 ვინც მიითვისებს ბრძოლისთვის
 ერთგვარი გზა და ხიღია.
 იქვიც არ არის მშრომელ ხალხს
 გამოფხიზლებაც სჭირია
 რადგან შავ-ბნელი ზომები
 მათ წანააღმდეგ ხშირია,
 თანაც პარაზიტ-მყვლეფელებს
 ერთად შეუკრავთ პირია
 მარა თუ ძალის მოვიკრებთ
 არც ისე გასაჭირია.

ბუტუნა.



„ნომერნოი“.

აბანოში მუშტარი ბუზივით ტრიალებს. ცალკე
 ოთახები სავსეა ხალხით. ახალგაზრდა „ნომერნოი“
 ლადიმერა ოფელში გაიწურა სირბილით... ყოველ
 წუთს იხმის ზარის წყარუნი და ის თავ-პირის
 მტვრევით მირბის ოთახებისკენ.

ზარს რეკენ... რეკენ ენერგიულად.

— ჩეთვერთი: — იძახის ლადიმერა და მირბის
 მეოთხე ოთახისაკენ.

— ვი ზვანილი?

— ბიჭო, მექისე არა გყავთ? ბოხი ხმით ეკი-
 თხება კარებს იქიდან ჩასუქებული კომერსანტი—
 მაიყვანე რალა.

— სიჩას ბუდეტ „ტორჩიკ“. იესტ, პიატი
 ნომერ ზაშოლ, პრიშოლ. სკორო ბუდეტ, ნო ნე
 ბუდეტ.

— რას ბოდავ, ბიჭო! მაიყვანე მექისე.

— ტორჩიკ ნიატუ. ბუდეტ.

— შე ოჯახ-დაქცეულო, ქართულად ვერ
 დამელაპარაკები?

— ბუდეტ, ბარინ. ესტ ნო ნიატუ.

— ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი!...

საუბედუროდ მუშტარმა არ იცის, რომ ლა-
 დიმერა თუმცა იმერელია, მაგრამ გაგიჟებით უყ-
 ვარს რუსული ენა.

ზარს კვლავ რეკენ...

— პერვი ნუმერ! — იძახის ლადიმერა და მირ-
 ბის.

— ვი ზვანილი!

— მეგობარო, ეს რა ამბავია, რომ აუზში
 ცხელი წყალი არ მოდის?

— პაეილუსტა, პუსტიტე. პაიდიოტ ხოლოდ-
 ნი, პრიდიოტ გარიანი. დუშ ზაკროიტე, ვანა ატ-
 კროიტე.

— არ მესმის რას ამბობ!

— გარიანი ვადა პლოხო ილოტ, პუსკაი
 ილოტ! ნო დვერი პაეალუსტა ზაკრევაი.

— რა ენაზე ლაპარაკობ, ჩემო კარგო?

— რუსკი ხარაშო პანიმაიმ.

— ყოჩად, კარგად გცოდნი!.. Вонъ отско-
 да!.. Позвать хозяина!

მუშტარი ფულის მიმღებთან ანგარიშს ასწორებს, ლადიმერა მსუნაგ კატასავით მას ხელებში შეჩერებია „ნა ჩაი“-ს ელის,..

მაგრამ მუშტარი მას ყურადღებას არ აქცევს და გადის... ასე იქცევა მეორეც, მესამეც!...

ლადიმერა შედის თავის ოთახში, ჯდება საწოლზე და მაგრად ფიქრობს და ვერ აუღსნია, თუ რათ კრიჟანგობენ მუშტრები და ორიოდ გროშს რატომ არ უტოვებენ მას!

გუგუული.

ხახამის*) დასაფლავებაზე.

(ებრაელური სცენა).

(ხახამს სახლიდან გამოასვენებენ და მისვენებენ სინაგოგაში, იქიდან კი—სასაფლაოზე; ებრაელები მწარე ტირილით და გოდებით აცილებენ ცხედარს).

ებრაელები. (ერთად) ვააი, ჩვენს მოსწრებასეე! ვაი, ამ შავს დღესეე, ვაი ამ საათსუუ! ბიქო ისხაკო, საით მიდისხარ, ბიქოვეე!... ეხ, ეხ, ეეხ! რატომ დაგვტოვე ამ შავს დღეშივეე! რა დაგიშვეთუუ. (ცხედარს დაასვენებენ სინაგოგის წინ, რაბინი ამბობს სიტყვას, შემდეგ რამოდენიმე ებრაელი იტყვის სიტყვას).

ბენორა. (სიტყვას ეუბნება მიცვალებულს). ბიქო, ისხაკო, ერთი ცოტა ყური მათხოვეე! ეხ, ეხ, რომ რამე გითხრა, მინდა რამე გითხრა მარა, რაფერ, მერე, რააფერ გითხრავეე, რომ შეწუხებულიე.რ... ვაი, ვაი, ვაი, ამ შავს დღესეე! მინდა რამე ვსთქვა... უნდა ვთქვა, რაც უნდა გამოიჭირდეს, ვიტყვი ახლა, დამიგდე ყურიივეე!—კაი კაცი იყავო სჯულის მადლმა, მე და ჩემმა ღმერთმა, უსინდისო ვიყო თუ ვსტყუოდე, (ათავეებს, იწყებს მეორე).

შელოია.—ბიქო ისხაკო. მე რაღავე ვსთქვა, ყველაფერი ბენორიამ გითხრავეე, ვაი ამ საათს, მე იმას დოუმიტებ რომე, მე და შენ, ხომ გახსოვს, ერთად ვყიდულობდით ძველ კალოშებს და კვერცხებს, ათი მანეთი რომ მასესხე და ოცდაათი შეიგე, ერთხანს „ჩისტათ“ იყავი, ფეხებს სწმენდამდი,

*) ხახამს ებრაელების შინაური ფრინველების და ოთხფეხი ცხოველების დამკვლელს ეძახიან,

მარა ყოლიფერში გეტყობოდავეე, შენ, რომ ხახამი იქნებოდივეე, გამოხვიდოდი, მე დღესაც ჩისტათ ვარეე!

ყოზია.—ისააკოო... შელოიამ ქე გითხრა ყოლიფერი მარა, ერთი დაამიწყდა, ეეე, იმას გეტყვი მე მე ღმერთმანი და, სამსე იქნება რეჩი, სჯულის მადლმა—ასურათებული იქნები თლად—შელომის იგი დაავიწყდა, რომ შენ კარგი ხახამი იყავი, სჯულის მადლმა, კი, ღმერთმანი, კარგად კლავდი ქათმებს, ბიქს რომ გამოვატანიდი შენთან ქათმებს დასაკლავად, უცბათ გააცხებინებდი ფეხს ქათმებს და გამოგოგზავნიდი, არ იყავი ზოგიერთსავით ბატონ-კაცი, მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით, ყველაფერი გითხრათ, ვადაი, სჯულის მადლმავეე! (ათავეებენ სიტყვებს, რაბინი აცხადებს: (ვისიც ემართა, რამე სულცხონებულ ისხაკოს, შეუნდეთ,**) გზა მართალს მიდის, არ დააბრკოლოთ).

ერთი ებრაელთაგანი.—არ დააბრკოლოვეე? მე კი ძაან დამაბრკოლა, ათასჯერ მოვთხუე 15 მანეთი, მარა, სულ მაცა, მაცას იძახოდა სჯულის მადლმა, ვაი, ამ შავ დღეს.—ისეე ის ებრაელი.—ბიქო ისხაკოო! ბიქს იმიზა გიბედაე, რომ მეგობრები ვიყავით, მარა 15 მანეთი რომ შეირჩინე ჩემი, ახლა რავქნა, უნდა შეგანდოო?? კი შეინდობ, მარა, ჩემს ცოლშვილს ვინ შეუნდობს, რომ მომადგება მევალეები, 15-ს კი არა ერთ არავინ შეუნდობს, ერთ მანათს სჯულის მადლმა—მაგრამ... მაგრამ... შეგინდოს, შეგინდოს, რომ არ შეგინდო, ვინ მომაშავეებს, ცოცხალს ვეფერი გამოგრჩი, თვარა, მკვდარი რას მომცემ. (რაბინი სწყურება:... პიროვნებას ნუ შეეხებით მიცვალებულისას).

მარდოხია.—ისხაკო ჯან! შელოიამ 15 მანათი შეგინდო, ჩემი ნაკლები გემართა—ათი მანათი, მარა, ჩემთვის ათასი მანათი იყო, არა, შეწუხებული რომ იყავი ლოგინზე—მაშინ ქე მინდოდა მეთქვა, მარა, არ გქონდა იმის თავი და გავჩუმდი.—შეგინდოს ძძაო ღმერთმა, ალალი გიყოს, მარა მე კი კაი საქმე არ მიყავი, ათი მანათი ათასია დღეს ჩემდა.

აბრამია — რავქნა, აქანავეე, ჩემისთანა გაქვირებული არავინ არ არის, რომელმაც შეგინდო,

**) შენდობას უთვლიან ებრაელები მიცვალებულს დასაფლავების წინ, თუ მიცვალებულს ვისიმე ფული ემართა, აპატიებენ, ესე იგი შეუნდობენ,



მარა, მერომ არ შეგინდო, დამძრახვევენ! შელო-
იამ 15 შეგინდო, მარდოხიამ ათი შეგინდო და მე
ხუთი მანათი არ შეგინდო? შეგინდოს ძმაო ღმერთ-
მა, ალალი გიყოსვე.

ლუკაიეს ობოლი.

დეპეშები

ფოთი. ქალაქის თვითმართველობამ გადასწ-
ყვრათ: ადგილობრივ კოოპერატივს დაუთმოს უფა-
სოთ ქალაქის საკუთრება ფურნე და მალაზია ოპის
გათავებამდე. გაუხსნას აკრეთვე 25 ათასი მანეთის
ნდობა და გაუწიოს ყოველგვარი დახმარება საქონ-
ლის შექმნაში, რომ ამით იხსნას მცხოვრებნი სპე-
კულიაციისაგან. დაადგინეს აკრეთვე დაუბრუნონ
ლაზარევიჩის ქუჩაზე მცხოვრებთ ის ფულეზი, რო-
მელიც ერთი წლის წინათ მოჰკრიბეს ა. ბოკე-
რიამ და ე. პაჩკორიამ აღნიშნულ ქუჩის ელექტ-
რონით გასანათებლათ და უფასოთ „გაანათონ“ ეს
ქუჩა გაბუნიას „გასანათებელი სადგურიდან“.
ყველა ამ ხარჯების დასაფარავათ გაიკაფება ქალა-
ქის გარშემო ტყეები იმ მოსაზრებითაც, რომ ქაო-
ბებიც გაშრეს, „მალერეია“ (უემური) შემციოდეს
და შეშის მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს ქალაქ-
მა მოქარბებულ მუშტრებიდან.

იქიდანვე. წ. კ. ს. განყ. გამგეობამ ერთხმად
დაადგინა: დაუყოვნებლივ მოიწვიოს საუკეთე-
სო პედაგოგი ნაბადის სკოლისთვის და განა-
ახლოს მეცადინეობა, დაურიგოს მოწაფეებს უფა-
სოთ სასწავლო ნივთები და წიგნები, გადასდოს
ერთდროულათ 500 მან. სკოლის შენობისათვის.
და გახსნან ქალაქის სამკითხველო, რომელიც დაკე-
ტვის დღიდან ამ გამგეობის ხელში გადმოვიდა,
გამოიწეროს ყოველი საჭირო ჟურნალ-გაზეთები და
წიგნები სამკითხველოსთვის და საჩქაროთ მოიწვიონ
საზოგადო კრება საწევრო ფულეების ერთ მანეთამ-
დის შესამკირებლათ, რადგან სამ მანეთს უბოქაუ-
ლოთ არავინ იხთის. სააგენტო ამ კითხვებს სა-
ეჭვოთ ხდის და მარტო ტყის გაკაფვაზე იძლევა
იმედს.

ბუტუნას სააგენტო.

ს. ველის ციხე. ფრიად სამწუხარო ამბა ს
გვატყობინებენ: როგორც ადგილობრივ კლუბის
მამებს, ექიმებისა და ცნობილ დალაქების დახმარე-
ბით დაავაითყოფებელი კლუბის გარემოება განუ-

ხილავთ—კონსილიუმის დროს იმ დასკვნამდე მი-
სულან, რომ შესაძლებელია კლუბმა ღუბჭირს ვე-
ლარ გაუძლოს და მომავალს იანვრამდის მოესპოს
ცოდვილი არსებობაო.

იქიდანვე. რადგანაც ამ ცოტა ხანში კლუბის
დარბაზში დარვინს წაუკითხავს ლექცია და მსმე-
ნელთათვის დაუმტკიცებია, რომ ველისციხელები
ფრანგებსა და ინგლისელებზე გონებით ძრიელ
მალდა სდგანან, ამისათვის საკითხველოს დაარ-
სება მეტათ მიუჩნევიათ.

იქიდანვე. კვირას (4 აბ. თვ.) სოფლის ყრი-
ლობამ ერთხმად დაადგინა. რაკი ქერემის ხევი
წყალდიდობის დროს სოფელს ხან ერთი მხრიდან
უფლის და ხან მეორე მხრით, ამისათვის ამოირჩიეს
ორი დარბაისელი კაცი, რომელთაც უნდა იშუამ-
დგომონ ქერემელებთან, რომ ხევმა თავის წყალ-
დიდობის დროს სოფელი თანაბრათ გაასუფთაოს
ხოლმე და მეზობელი მეზობელს არ დაამდუროს.

იმედოვნებენ შუამდგომლების შეწყნარებას.

იქიდანვე. როგორც გავიგეთ: მანა თარი-ს
მეოხებით გაფიცვას აპირობენ ადგილობრივი თხლე-
ქაქის გამომხდელები. მოითხოვენ მომეტებულ ჯა-
ფის ფასს და პატრონების უარაყოთ დარჩენას. ირწ-
მუნებიან: გაფიცვას ჯერჯერობით სახიფათო მნი-
შვნელობა არ უჩანსო.

დარღიანი ხვლიკი.



სუფსა ვილა ცას. სწორეთ ამაზე იტყვიან:
„ვილაცამ რალაცა სთქვა და აჰან ამბავი გამოი-
წვიაო“. რა გაგიხდათ ეს „სუფსის მოდისტები“:

„რაც დრო შიდას თან და თან
სუფ დიდებას სუფსა,
მგონა სუფ გადადება
ვერ დაფარავს მის ცა“.

ყოველივე ეს გამოუწვევია ორი პარტია „მო-
დისტების“ ჩამოსვლას.

„დამ დამობით მოდისტებს
მაჯღაჯუნა აწუხებს
მათი პრასა-ბრუხუნა
ანუ მარეს აწუხებს“.

თუ კი მოგეხსენებათ, რომ სხვისი შეწუხება
არ არის კარგი, მაშ რისთვის გვაწუხებთ ასეთი ლე-
ქსებით, რა დაგვიშავებია?! არ დაიბეჭდება.



გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას — მიირთვით

უპირატესი

მოითხოვეთ ყველგან

ბილეთ-მადნეულის სამკურნალო



— რამ დაღუბა კნიაზები, რამ ააღებინა ხელი მამულ-დედულზე, რამ გააკოტრა ამ დიდი „იმენის“ პატრონები, რამ გახადა ყველა ბანკის მონათ? რასაკვირველია, რომ ღვინის სმამ! ღვინის სმას გადაყოფეს ყველაფერი და დღეს ტარიელ-ცარიელი დადიან, ბევრი ციმბირისაკენაც შეაყოფეს. ჰაი, ჰაი, რომ მეც გვიან მივხვდი, რომ ღვინო აღმიანის დამღუბველია. ეხლა კი სარდაფის კარებს ახლოც არ ვეკარები. ვენაცვალე ლადიძის წყალს, ცხონდა მისი მოზგონის მამის სული. ლადიძის წყალი ყველგან მირჩევნია. ვინც ერთხელ მისი გემო ნანა ის არც ღვინოს და არც სხვა წყალს არ დაღვეს და ჰკუთსაც იქმს.

